პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 აგვისტო, სამშაბათი, 1989 წ.
№ 167 (10 086) ▲ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**ერთხელ მაინც თუ გაბიცურავთ აფრიანი ნავით, აი, ჩვენებური სულისშემხუთველი ზაფხული გულს რომ შეგიწუხებთ, მაშინ აუცილებლად მოგენატრებათ აფრებატკარცალებული ნავით ზღვის ტალღებზე სრბოლა და მაცოცხლებელი ზღვაურის შებრძრება. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანისთვის ეს გრძნობა უცხოა — აფროსნობის განვითარების შესანიშნავი ბუნებრივი პირობები კი გვაქვს, მაგრამ ისე ნამდვილად ვერ ვიყენებთ, როგორც შევვძლო. გვჯერა, მომავალში საქმე აქაც გამოსწორდება — აფროსნობა ჩვენში მარტო სპორტის ფუძემომძლავრებული სახეობა კი არა, გართობა-დასვენების პოპულარული საშუალებაც იქნება.**



თბილისში სანიტარიული მდგომარეობის გამოსწორება და ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარება დღეს საერთო საზრუნავად იქცა. ამ საკითხს, ცხადია, ადრეც ექცეოდა ყურადღება, მაგრამ სასიკეთო ცვლილებები არ მომხდარა. მხოლოდ ახლა ალარავინ იტყუებს თავს, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები.

დაიწყო საერთო-სახალხო ლაშქრობა დედაქალაქში სანიმუშო სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის. თავის მხრივ, ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები, მაგრამ მთავარი საქმე წინაა — უნდა მოვაწესრიგოთ სპორტული ბაზები და ნაგებობები, მათი ეზოები და მიმდებარე ტერიტორია, კვების ობიექტები, ყველგან უნდა იგრძნობოდეს ზრუნვა სისუფთავისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საშხაპეების, სანიტარიული კვანძების გამართული მუშაობა.

„ლელოს" რედაქცია განაზოგადებს ამ საქმეში საუკეთესოთა გამოცდილებას, მათს გულისხმიერებას. ამავე დროს ამხელს იმათ, ვინც უგულისყუროდ მოეკიდება და ჯეროვნად არ შეაფასებს ამ მიტად საჭირო ღონისძიებას.

## დუისბურგი -89

## უნივერსიადის ეპიცენტრი

**დუისბურგი.** მსოფლიო უნივერსიადის ეპიცენტრმა „ვედაუს" სტადიონის მძლეოსნურ სექტორებზე გადაინაცვლა. პარასკევს აქ ამ სახეობაში მედლების პირველი კომპლექტები გათამაშდა.

გამარჯვებულთა შორის არის საბჭოთა უროს მტყორცნელი იგორ ასტაპკოვიჩი — 80,56 მ. ეს შედეგი მსოფლიო უნივერსიადების ახალი რეკორდია. ბირთვის კვრაში ქალთა შორის ყველას აჯობა ჩინელმა ჩჟი ხონ ხუანმა — 20,56 მ. საბჭოთა მძლეოსანი ლარისა პელეშენკო მეოთხე ადგილზე გავიდა — 18,66 მ.

გრძელდება დაძაბული ბრძოლები საფარიკაო ბილიკებზე. დაშნით მოფარიკავეთა შორის გაიმარჯვა კუბელმა პედროსომ. იტალიელი რანდაცო მეორე ადგილზე გავიდა.

საბჭოთა კალათბურთელებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა წააგეს თურქეთის გუნდთან — 76:77 (40:38), მაგრამ ამ მატჩის შედეგს არაფერი შეუცვლია. ჩვენმა კალათბურთელებმა რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდეს პირველი ადგილი ქვეჯგუფში და თურქების წინააღმდეგ სათამაშოდ სარეზერვო შემადგენლობა გამოუშვეს. რამდენად გამართლებული იყო მწვრთნელების ი. სელიხოვისა და რ. გირსკისის ეს მანევრი, ცნობილი გახდება კუბელებთან მეოთხედფინალური შეხვედრის შედეგად.

## პრეზიდენტის მტკიცე პოზიცია

**სან-ხუანი** (პუერტო-რიკო). აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს აფრიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მან ილაპარაკა დოპინგის პრობლემებზეც და აღნიშნა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი შეურიგებელი იქნება სპორტული ეთიკის დარღვევის ყოველი კონკრეტული ფაქტისადმი.

პრეზიდენტს ჰკითხეს ჩოგბურთისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ, რაზედაც სამარანჩმა უპასუხა: „ნებისმიერ ჩოგბურთელს, რომელიც სამხრეთ აფრიკის კავშირში ასპარეზობს, სამუდამოდ აეკრძალება ოლიმპიურ ტურნირებში გამოსვლა. იმისათვის, რომ ჩოგბურთი ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდეს, სამხრეთ აფრიკის კავშირი უსათუოდ უნდა გარიცხოს თავისი რიგებიდან.

## ველოსპორტი · ჩოგბურთი · მოტოსპორტი

ცელოფიაზა - მკაოსხველი

**შამბერი** (საფრანგეთი). ჯგუფურ საგზატკეცილო რბოლაში 187,5 კილომეტრზე მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი პოლონელმა იოჰამ ხალუპჩოკმა მოიპოვა. დისტანცია მან 4:52,54-ში დაფარა. შეგახსენებთ, რომ ხალუპჩოკი სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია გუნდურ რბოლაში. მეორე და მესამე ადგილებზე ფრანგი ველოსიპედისტები ერიკ პეშონი და კრისტოფ მანენი გავიდნენ.

**ჯერიკო** (აშშ). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის „ჩელენჯ კაპ-ის" ნახევარფინალში ანდრეი ჩესნოკოვი მსოფლიოს პირველ ჩოგანთან ივან ლენდლთან დამარცხდა 5:7, 6:7. მეორე ნახევარფინალში შვედმა მიქაელ პერნფორსმა ამერიკელ ჯიმ კურიეს აჯობა 6:4, 6:1.

**ბრნო.** „ჩეხოსლოვაკიის გრან-პრი" მოტოსპორტში 125 კბ სმ კლასის მოტოციკლებით რბოლაში ესპანელმა ალექს კრივილმა მოიგო. მან 166 ქულა დააგროვა და საგრძნობლად დაწინაურდა „გრან პრის" საერთო ჩათვლაში.

**ატლანტა.** აშშ — საბჭოთა კავშირის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრაში გამარჯვება მასპინძელ სპორტსმენებს დარჩათ — 201:136. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მატჩების ისტორიაში პირველად ერთმა სპორტსმენმა სამი დისტანცია მოიგო. ეს მოცურავეა ამერიკელი ჯანეტ ევანსი.

**პლოვდივი** (ბულგარეთი). ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა სპორტსმენებმა 17 მედალი მოიპოვეს (8 ოქროს, 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოსი). გდრ-ის წარმომადგენლებს შესაბამისად წილად ხვდათ 7,3 და 1 მედალი, უნგრელებს კი 3.6 და 2.

რეპლიკა

## ეს უმადურებაა თუ...

„ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ დედამიწის გარშემო ე. წ. „მაქსი იახტებით" რბოლაში პირველად გამოვა საბჭოთა ეკიპაჟი ფოთში საგანგებოდ ამ ასპარეზობისთვის დამზადებული ნავით. ეს ნავი ამჟამად ინგლისშია და 2 სექტემბერს აიღებს სტარტს ხანავსადგურო ქალაქ საუთჰემპტონში.

გუშინწინ საინფორმაციო პროგრამა „ვრემიაში" აჩვენეს ფოთში დამზადებული ნავი, გაესაუბრნენ ეკიპაჟის წევრებს და აი, უმადურება თუ გნებავთ ეს არის: ერთი სიტყვაც არ თქმულა, თუ სად კეთდებოდა ეს უნიკალური ნავი, რა წვლილი მიუძღვით მის შექმნაში ფოთელ გემთმშენებლებს, ასეთი ნავი ხომ პირველად დამზადდა სსრ კავშირში, რაც თავისთავად ღირსსახსოვარი ფაქტია. სამწუხაროდ, სიტყვაც არავის დაუძრავს ფოთელებზე, არც ნავის სახელი უხსენებიათ („ფაზისი"), არც ის თქმულა, რომ ოფიციალურ დელეგაციაში, რომელიც ამ ასპარეზობის დაწყების საზეიმო ცერემონიალზე ინგლისში გაემგზავრება, მთლიანად საქართველოს წარმომადგენლები არიან. სამაგიეროდ, თვალში საცემი იყო „პეპსი-კოლას" სარეკლამო წარწერა. გასაგებია, რომ ეს ფირმა სპონსორია და დადებული ხელშეკრულებით სათანადო რეკლამას მოითხოვს, მაგრამ ფოთელთა შრომა, თუნდაც მორალურად, რატომ არ უნდა წახალისებულიყო?

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ყველაფერი ეს განზრახ გაკეთდა...

## ათიდან ცხრა პრიზიორია

**მარტინი** (შვეიცარია). დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ათლეტებმა 5 ოქროს, ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. უჯილდოოდ ერთადერთი მოჭიდავე დარჩა. ეს გახლავთ მინსკელი სერგეი დემეშკევიჩი (90 კგ).

ჩემპიონის ოქროს მედალი მინსკელმა კომანდარ მაჯიდოვმა (62 კგ) მეორედ მოიპოვა. დანარჩენი ჩემპიონები — ვოროშილოვგრადელი ოლეგ კუჩერენკო (48 კგ), ომსკელი ალექსანდრე იგნატენკო (52 კგ), ალმაათელი დაულეტ ტურლიხანოვი (74 კგ) და ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე კარელინი (130 კგ) — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველად ავიდნენ. სხვათა შორის, ტურნირის ბოლო დღეს 123 კილოგრამი წონის ალექსანდრე კარელინმა აბსოლუტური კატეგორიის სუპერფინალში დაამარცხა დასავლეთგერმანელი გერჰარდ ჰიმელი (ეს უკანასკნელი ჩემპიონი გახდა 100 კგ წონაში).

მეორე ადგილები დაიკავეს გროდნოელმა ალექსანდრე შესტაკოვმა (57 კგ) და ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა მიხეილ მამიაშვილმა (82 კგ). ამ უკანასკნელის ფინალური ორთაბრძოლა შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონთან უნგრელ ტიბორ კომარომთან ფრედ დამთავრდა, დამატებით დროში უნგრელმა ქულა აიღო და გაიმარჯვა.

ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ: ლენინაკანელ ლევონ ჯულფალაკიანს (68 კგ) და გროდნოელ ანატოლი ფედორენკოს (100 კგ).

## I ლიგა

გასულ კვირას ბათუმში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 28-ე ტურის შეხვედრა.

**„დინამო" (ბათუმი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 0:0.**

**„დინამო":** ბალაძე, გოგიტიძე, ქასრაშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ჯოხაძე, მჭედლიშვილი, კაკილაშვილი (მაჭუტაძე, ათუაშვილი), ბიგვავა, მეშკოვი, მაისურაძე.

**„ტავრია":** ბელოშაპკა, შევჩენკო (გაიდარჟი), ტერჩინენკო, ხმიგუნოვი, გიუმანოვი (ვიხორნოვი), ფოკინი, ვოლკოვი, პრიჩინენკო, იხაევი, გაიდაში, ბრაუერი (დემენტიევი).

**მსაჯი ე. რუნოვი (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს: გიუმანოვი, გაიდარჟი, პრიჩინენკო, ბიგვავა.**

**ბათუმელთა** ახლანდელი სატურნირო მდგომარეობა და ის გარემოებაც, რომ ისინი პირველ წრეში სიმფეროპოლში დამარცხდნენ (0:2), შეუპოვარ, საინტერესო, დაძაბულ ბრძოლას გვპირდებოდა. დაძაბულს, მაგრამ არა ისეთს, რომლის მხილველნიც გავხდით.

თამაში უინტერესოდ, უხალისოდ დაიწყო და მთელი პირველი ტაიმიც ასე გაგრძელდა — ბურთი მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, თავდამსხმელები მეტოქის კარს ვერაფრით ემუქრებოდნენ, მეკარეებიც უსაქმოდ იყვნენ. სამაგიეროდ, მსაჯს თავზე საყრელად ჰქონდა საქმე, მან კი, თამამად შეიძლება ითქვას, მატჩს ვერ გაართვა თავი. სტუმრები სისტემატურად უხეშობდნენ, ე. რუნოვმა თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვა და მერე ვეღარ აღკვეთა მინდორზე აშკარა ანტიფეხბურთი.

კიდევ უფრო გართულდა საქმე მეორე ტაიმში. სიმფეროპოლელებმა უხეშობას უმატეს, სამწუხაროდ, მათ ბათუმელებმაც მიბაძეს და მაყურებელმა ფეხბურთის ნაცვლად მინდორზე მუშტი-კრივი იხილა. ყველაფერი ეს, ცხადია, საერთო უდისციპლინობის, ამავე დროს, არბიტრის მოუმზადებლობისა და არაკვალიფიციურობის პირდაპირი შედეგია.

მეორე ტაიმში „ტავრიის" მეკარეს მეშკოვის, ჯოხაძისა და ბიგვავას ძლიერი დარტყმების მოგერიება მოუხდა. მიმდინარეობდა მე-60 წუთი, როცა მარჯვენა ფლანგიდან გასულ მაჭუტაძეს „ტავრიის" საჯარიმოს სიახლოვეს გაიდარჟიმ ფეხი ჩაარტყა და... წვივის ძვალი მოტეხა. საოცარი იყო მსაჯის გადაწყვეტილება — დამნაშავეს წითელი ბარათის ნაცვლად მხოლოდ ყვითელი უჩვენა. ხუთი წუთის შემდეგ ჯოხაძე სწრაფად შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, მცველებმა აკრძალული ილეთით შეძლეს მისი შეჩერება, მაგრამ მსაჯის სასტვენი ამჯერადაც დუმდა.

ერთი სიტყვით, ე. რუნოვის მსაჯობით ყველა უკმაყოფილო დარჩა, უხეშობის შედეგად ბევრ ფეხბურთელს ტრავმები აღმოაჩნდა. გამსინჯავმა კომისიამ (მატჩის ინსპექტორი გახლდათ მოსკოველი ნიკოლოზ ბოგომოლოვი). ე. რუნოვს „ორიანი" დაუწერა და საკავშირო მსაჯთა კოლეგიის წინაშე აღძრა საკითხი მისთვის პირველი ლიგის თამაშების მსაჯობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, „ლელოს" კორ.)**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის.**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 27 | 19 | 5 | 3 | 74-18 | 43 |
| „კაირატი" | 27 | 16 | 6 | 5 | 50-22 | 38 |
| „გურია" | 26 | 16 | 6 | 4 | 45-20 | 38 |
| „ფახთაქორი" | 27 | 13 | 7 | 7 | 39-17 | 33 |
| „ნეფთჩი" | 27 | 12 | 8 | 7 | 34-25 | 32 |
| „ფაკელი" | 27 | 12 | 7 | 7 | 30-21 | 31 |
| „დინამო" სტ. | 26 | 10 | 10 | 6 | 33-27 | 30 |
| „გეოლოგი" | 27 | 12 | 5 | 10 | 31-29 | 29 |
| „ნისტრუ" | 27 | 13 | 2 | 12 | 30-41 | 28 |
| „მეტალ." | 26 | 10 | 6 | 10 | [illegible]5-27 | 26 |
| „როსტსელმ." | 27 | 8 | 10 | 9 | [illegible]7-28 | 26 |
| „ტავრია" | 26 | 9 | 8 | [illegible] | [illegible] | 26 |
| „ტორპედო" | 25 | 11 | 3 | 11 | 37-36 | 25 |
| „სპარტაკი" | 27 | 9 | 7 | 11 | 33-35 | 25 |
| „კოტაიკი" | 26 | 8 | 9 | 9 | 29-23 | 25 |
| „დინამო" ბ. | 27 | 9 | 6 | 12 | 26-42 | 24 |
| „შინიკი" | 27 | 7 | 9 | 11 | [illegible]-45 | [illegible] |
| „ყუბანი" | 27 | 8 | 5 | 14 | 27-52 | [illegible] |
| „კუზბასი" | 27 | 6 | 9 | 12 | 16-30 | 21 |
| სკა რ. | 26 | 6 | 5 | 15 | [illegible] | [illegible] |
| „დაუგავა" | 27 | 4 | 5 | 18 | 16-40 | 13 |
| სკა „კარპატი" | 27 | 3 | 6 | 18 | [illegible] | [illegible] |

# ოლიმპიური ქარტია

## წესები

31. სასჯელი სოკ-ის წესების დარღვევისათვის

სპორტსმენს, რომელმაც განზრახ დაარღვია ოლიმპიური წესები და ამ წესების ოფიციალური განმარტებები, მიეცემა დისკვალიფიკაცია და ჩამოერთმევა ყველა დაკავებული ადგილი. თუ ამ სპორტსმენის ეროვნული ფედერაცია მხილებულია წესების დარღვევაში, როგორც თანამონაწილე, ეოკ-ი საფრთხეში იგდებს თავს, დროებით დაკარგოს თავისი აღიარება, ხოლო მთელ გუნდს სპორტის ამ სახეობაში შეიძლება მიეცეს დისკვალიფიკაცია.

### თამაშების მართვა და ორგანიზაცია

32. ოლიმპიური თამაშების დრო და ხანგრძლივობა

ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს ნაკიანი წლის განმავლობაში. არავითარი გარემოების გამო არ შეიძლება თამაშების სხვა წლისთვის გადატანა. მოცემულ წელიწადს თამაშების ჩაუტარებლობა იწვევს ამ თამაშების გადადებას და არჩეული ქალაქის უფლებების ანულირებას. ეს უფლებები არ შეიძლება გავრცელდეს შემდგომ ოლიმპიადაზე.
წლის დრო, როდესაც უნდა ჩატარდეს ოლიმპიური თამაშები, მუდმივად დადგენილი არ არის, არამედ ვადებს ორგკომიტეტი წარუდგენს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მხარდასაჭერად. ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სოკ-ი.
ოლიმპიური თამაშების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 16 დღეს, გახსნის დღის ჩათვლით. თუ კვირაობით ან დღესასწაულების გამო შეჯიბრებები არ ტარდება, ეს ვადა შეიძლება შესაბამისად გახანგრძლივდეს.
ოლიმპიური თამაშები მთავრდება იმ მომენტში, როცა ქრება ოლიმპიური ცეცხლი.

33. ქალაქის არჩევა

მას შემდეგ, რაც განიხილება ხსფ-ის წარმომადგენლის და ეოკ-ის წარმომადგენლის მოხსენება (წარმომადგენლებს ნიშნავენ შესაბამისი ორგანიზაციები) სოკ-ი ირჩევს ქალაქს, სადაც ჩატარდება ოლიმპიური თამაშები და, ქალაქს, სადაც ჩატარდება ზამთრის თამაშები. ხესია არჩევნებისათვის ტარდება ქვეყანაში, რომელსაც არ წარუდგენია თავისი რომელიმე ქალაქის კანდიდატურა.
სოკ-ი ავალებს ოლიმპიური თამაშების ორგანიზებას იმ ქვეყნის ეოკ-ს, რომლის ქალაქი შერჩეულია თამაშების ჩასატარებლად. ეოკ-ს, თუ იგი არ არის იურიდიული პირი, შეუძლია ან ვალდებულია ეს უფლებები გადასცეს ამ მიზნისთვის შექმნილ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც ამიერიდან კავშირს ამყარებს უშუალოდ სოკ-თან. ეოკ-ისა და არჩეული ქალაქის ერთობლივი და ინდივიდუალური ფინანსური საქმიანობა განისაზღვრება წინამდებარე ქარტიის მე-4 წესით. ეს წესი მას არ ეხება.
ნებისმიერმა ქალაქმა, რომელმაც წარადგინა თავისი კანდიდატურა ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციისათვის, უნდა მიიღოს წერილობითი ვალდებულება „ქალაქ-კანდიდატის პირობების“ დასაცავად.
წესების და (ან) წერილობითი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სოკ-ს, 23-ე და 25-ე წესების შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ მომენტში ჩამოართვას ქალაქს და ეოკ-ს ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის უფლება, იმ ზიანის მიუხედავად, რომელიც შეიძლება მიადგეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ან სხვა ორგანიზაციებს და რომელიც უნდა აანაზღაუროს
ამ ქვეყანაში სოკ-ის წევრი (წევრები), პრეზიდენტი და

34. ოლიმპიური ქალაქი

ყველა სპორტული შეჯიბრება ტარდება არჩეულ ქალაქში, უპირატესად მთავარ სტადიონზე ან მასთან ახლოს. სოკ-ის მხარდაჭერის შემთხვევაში, თამაშების ჩასატარებლად არჩეულ ქალაქს შეუძლია გაიყოს თავისი უფლებამოსილება სხვა ქალაქთან ან შეჯიბრების ჩატარების სხვა ადგილთან, რომლებიც მდებარეობენ ამ ქვეყანაში. ამ შემთხვევაში თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, აგრეთვე, ფინალური შეჯიბრებები პროგრამაში ჩართული სახეობების მიხედვით უნდა ჩატარდეს არჩეულ ქალაქში, თუ სოკ-ისა და საორგანიზაციო კომიტეტის ურთიერთშეთანხმებით სხვა გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.
ოლიმპიური თამაშების განმავლობაში, აგრეთვე მის გახსნამდე კვირის მანძილზე და დახურვის შემდეგ ახალ კვირის განმავლობაში ოლიმპიურ ქალაქსა და მის შემოგარენში არ უნდა ჩატარდეს არავითარი სხვა საერთაშორისო ღონისძიებები.

35. საორგანიზაციო კომიტეტი

საორგანიზაციო კომიტეტი აღჭურვილი უნდა იყოს იურიდიული სტატუსით. იგი არის აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ევალება ოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია, როგორც ეს 33-ე წესშია მითითებული, მან უნდა გადაწყვიტოს თამაშების ორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა მატერიალური საკითხი. იგი მოქმედებს უფლებამოსილების საფუძვლებზე, რაც მას გადაცემული აქვს გარკვეულ ფარგლებში, და არ შეუძლია შეცვალოს სოკ-ი...
ამ ქვეყანაში სოკ-ის წევრი (წევრები), პრეზიდენტი და (ან) ეოკ-ის გენერალური მდივანი სავალდებულო წესით შედიან საორგანიზაციო კომიტეტში როგორც აღმასკომის ან ბიუროს წევრები.
საორგანიზაციო კომიტეტს დაითხოვენ თამაშების დახურვის ცერემონიიდან 6 თვის შემდეგ. ამ მომენტიდან მას შეუძლია გააგრძელოს თავისი საქმიანობა მხოლოდ თვითლიკვიდაციის მიზნით, რომლის ხანგრძლივობამაც არ უნდა გადააჭარბოს 12 თვეს. ამ პერიოდის განმავლობაში მას აქვს უფლება დადოს კონტრაქტები მხოლოდ მე-40 წესის საფუძველზე. სოკ-ის დასაკმაყოფილებლად მან უნდა მოაგვაროს ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ყველა გადაუჭრელი და (ან) სადავო საკითხი. ეოკ-ის ლიკვიდაციის პერიოდის შემდეგ, დებულების მე-4 წესის მიუხედავად, იგი თავის თავზე იღებს ყველა უფლებას და კონკრეტულ ვალდებულებას, მიღებულს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

36. ოლიმპიური სოფელი და დაბინავება.

საორგანიზაციო კომიტეტი ერთ ოლიმპიურ სოფელს გამოყოფს მამაკაცებისთვის, მეორეს — ქალებისთვის, იმდაგვარად, რომ ყველა მონაწილე და გუნდების ოფიციალური პირები მოთავსდნენ ერთ ადგილზე და მიეცეთ შესაძლებლობა იკვებონ ზომიერ ფასებში, გარდა გამონაკლისისა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, რომელთაც შეიძლება სოკ-ი დაეთანხმოს.
ოლიმპიური სოფელი დელეგაციის განკარგულებაში უნდა გადაეცეს გახსნის ცერემონიამდე არა უგვიანეს 2 კვირისა, და დაიხუროს ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიიდან 3 დღის შემდეგ.
თუ ზოგიერთი მონაწილე არ იცხოვრებს ოლიმპიურ სოფელში, გამოყოფილი ოთახები რჩება მათს სახელზე და საფასურს იხდის შესაბამისი ეოკ-ი.
თუ საორგანიზაციო კომიტეტს სოკ-ი აძლევს უფლებას ცალკეული შეჯიბრებები ჩატარდეს ოლიმპიური ქალაქის გარეთ, მონაწილენი და გუნდების ოფიციალური პირები დაბინავდებიან ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად.
სოფლები რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს მთავარ სტადიონთან, ვარჯიშების ჩასატარებელ ადგილებთან და სხვა ნაგებობებთან.
უზრუნველყოფილ უნდა იქნენ აგრეთვე ხსფ-ების მიერ დანიშნული მსაჯების, არბიტრების, წამზომელების, ინსპექტორების, გვერდითი მსაჯების დაბინავება, სოკ-ის მიერ დამტკიცებულ ფარგლებში (იხ. წესები 49-ე და 50-ე).

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 131, 133, 139, 158.

⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙ ★★★★★★★★★★★ ⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙ ★★★★★★★★★★★ ⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙⊙

თვალსაზრისი

# ...შტაბ-ბინით თბილისში!

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეამ ბევრი გულშემატკივარი და სხვადასხვა დარგის სპეციალისტი შეგვძინა. ეს ადამიანები მზად არიან მხარში ამოგვიდგნენ, პრაქტიკული დახმარება გაგვიწიონ, გვთავაზობენ თავიანთ წინადადებებს, რომელთა შორის ზოგიერთი სცილდება ეროვნულ ფარგლებს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. ასეთი წინადადებები ეხმიანება ოლიმპიური მოძრაობის იდეალებს.**

**დღეს სწორედ ერთ წინადადებას გთავაზობთ, რომელიც, ვფიქრობთ, საერთო მხარდაჭერას ჰპოვებს და რომლის რეალიზაციის გზას, ფართო საზოგადოებრიობის შემწეობით, დაუყოვნებლივ დაადგება საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფი. შემდეგ კი საქმეს ბოლომდე ალბათ საქართველოს ეოკ-ი მიიყვანს.**

მსოფლიოს ხალხთა დაახლოების ერთ-ერთ უებრო საშუალებად, როგორც ცნობილია, გვევლინება საერთაშორისო სპორტული მოძრაობა, რომლის განვითარების მძიმე ჭაპანს, უწინარეს ყოვლისა, ეწეოდნენ და ეწევიან გამოჩენილი სპორტსმენები. ამასთან, ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ თავიანთ ერს, არამედ მთელ კაცობრიობას, რადგან მათი სპორტული მიღწევები ემსახურება საერთო-საკაცობრიო პრობლემას — ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენა-შეცნობას, მის ჯანმრთელობასა და ფიზიკურ სრულყოფას.

სწორედ ამიტომ, არა გვგონია სადავო იყოს, რომ ამ რანგის სპორტსმენები აუცილებლად იმსახურებენ კაცობრიობის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდვას. ეს ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებაა — დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა ბევრი მათგანის სახელი, მათ შორის — ამჟამად ცოცხლებისაც კი.

ჩვენი აზრით, საქმეს სასიკეთოდ შემოატრიალებდა მსოფლიოს გამოჩენილ სპორტსმენთა საერთაშორისო ასოციაციის (გნებავთ, კავშირის, ფედერაციის) შექმნა, რომლის სამოქმედო პროგრამა მიზნად დაისახავდა, მაგალითად, ასეთ ამოცანებს:

1. წარსულისა და აწმყოს გამოჩენილ სპორტსმენთა მოღვაწეობის უაღრესად ფართოდ გაშუქებას, მათთვის ან მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრებების დაწესებას, საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში ყველა მათგანის წვლილის წარმომჩენ ღონისძიებათა მაღალ დონეზე ორგანიზებას.

2. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მათი თავისუფლად მიმოსვლის მიღწევას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით, ვთქვათ, მათზე ამ ორგანიზაციის პასპორტების გაცემით (პასპორტების უფლებამოსილება, ბუნებრივია, წინასწარ დადასტურებული უნდა იყოს გაერო-ს წევრ სახელმწიფოთა მიერ).

3. მატერიალური და მორალური დახმარების გაწევას ცნობილ, მაგრამ ხელმოკლე სპორტსმენებისათვის.

აღნიშნულმა ასოციაციამ, მის წინაშე დასმული ამოცანების გადასაჭრელად, უნდა დააარსოს თავისი ფონდი, შეადგინოს ბიუჯეტი, რომელშიც გადაირიცხება საწევრო გადასახადები, ასოციაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებათა შემოსავლები, კერძო და კოლექტიური შეწირულებანი, სპონსორთა მიერ გაღებული თანხები.

საქართველო, მსოფლიო კლასის მრავალი სპორტსმენის სამშობლო და აღმზრდელი, ბუნებრივია, სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ასეთი ასოციაციის შექმნით. მაგრამ მხოლოდ ამიტომ არა: ასეთ ორგანიზაციაში დამოუკიდებლად შესვლა ჩვენს რესპუბლიკას გზას გაუხსნის მსოფლიო სპორტულ ასპარეზზე (აქედან გამომდინარე ყველა პოზიტიური შედეგით). დამოუკიდებელ ერთეულად აღნიშნულ ასოციაციაში შესვლის საშუალება კი საქართველოს ექნება იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ითავებს ამ ასოციაციის ჩამოყალიბებას. ვფიქრობ, ასეთი ინიციატივის მორალური უფლება უდავოდ აქვს ჩვენს რესპუბლიკას, რადგან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპისა, სსრ კავშირისა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების ჩემპიონების, რეკორდსმენებისა და პრიზიორების აღზრდით, მან გარკვეული წვლილი შეიტანა საერთაშორისო სპორტული მოძრაობის განვითარებაში.

როგორ შეიძლება განხორციელდეს ზემოხსენებული იდეა? ალბათ, ასე: ოლიმპიური ქარტიის საფუძველზე თავდაპირველად იქმნება გამოჩენილ სპორტსმენთა რესპუბლიკური ასოციაცია (კავშირი), რომელიც, თავის მხრივ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოჩენილი სპორტსმენების წინაშე აყენებს ანალოგიური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საკითხს და აქტიურად ილვწის მისი განხორციელებისათვის.

ვფიქრობ, თანხმობის შემთხვევაში, სერიოზულ წინააღმდეგობას არავინ გაუწევს იმას, რომ ამ ასოციაციის შტაბ-ბინა თბილისში დამკვიდრდეს. ამასთან, რესპუბლიკა კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის გზაზე. უფრო მეტიც. მან შეიძლება ამ კომიტეტის მაგივრობაც კი გასწიოს — იგი ხომ ოლიმპიური ქარტიის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოება იქნება და, ამავე დროს, ყველა ოლიმპიური სახეობით იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაზე:

ჩვენი აზრით, გამოჩენილ სპორტსმენთა საერთაშორისო ასოციაციის (კავშირის, ფედერაციის) ჩამოყალიბება სავსებით შესაძლებელია, რადგან იგი შეესაბამება საერთაშორისო ცხოვრებაში საერთო-საკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტის წინა პლანზე წამოწევის თანამედროვე ტენდენციებს.

ყოველ შემთხვევაში, პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გადაიდგას გამოჩენილ სპორტსმენთა რესპუბლიკური ასოციაციის შექმნის სახით, რადგან კეთილი საქმე მარტოოდენ ამითაც გაკეთდება.

**შალვა ფაჩულია,**
**თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი.**

ქართული პრესა წერდა...

# კავკასიური და ფრანგული ჭიდაობა

**1910 წელს** თბილისში საინტერესო შეხვედრები ჩატარებულა კავკასიურ (ქართული) და ფრანგულ ჭიდაობაში.

თბილისს ეწვია 20 რუსი და ევროპელი ფალავანი ცნობილი მოჭიდავის ეიჟენის ხელმძღვანელობით. შეჯიბრება, რომელიც ქართულ საზაფხულო თეატრში ჩატარდა, დაიწყო 18 ივლისს და მთელი თვე გრძელდებოდა.

უფრო ადრე, 4 ივლისს, დიდუბეში დაიწყო შეჯიბრება კავკასიურ ჭიდაობაში კულა გლდანელის ხელმძღვანელობით.

„სახალხო გაზეთის“ ინფორმაციაში ცნობილ ფალავნებთან ერთად მოიხსენიებიან მოჭიდავეები შერქმეული სახელებით, როგორიცაა: ილიკო აჭალელი, ალექსი ნახალოვკელი, გიორგი ჯიბგირი, შაშუა ვერელი, მეტივე დათიკო, უდო ნასელჩიკი და სხვ.

ცნობილი ქართველი ფალავანი კულა გლდანელი ორჯერ შეხვედრია პოლონელ სილვესტრ პეტერსონს, რუს რაზინს, გერმანელ მიხაილ მაიკრს და სხვებს. შეხვედრების განრიგი განცხადებების სახით ქვეყნდებოდა გაზეთის პირველ გვერდზე, ხოლო მსვლელობა და შედეგი მეოთხე გვერდზე რუბრიკით „სპორტი“.

ვაქვეყნებთ ამ ინფორმაციებს თანმიმდევრობით:

„განცხადება. კვირას, 4 ივლისს დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს — გაიმართება კავკასიური ჭიდაობა ყმაწვილების მზრუნველთა სახლის სასარგებლოდ. დღეს იჭიდავებს 7 წყვილი კულა გლდანელის თანდასწრებით.

1. გიორგი დოთიაშვილი გორის გამოჩენილი ფალავანი, რომელიც ჩამოვიდა ჯიბგირის სახელით და ვასო ბეკურაშვილი (აჭალელი); 2. შაშუა ვერელი და ნიკა პატარა რუსიშვილი; 3. პატარა კახელი და ილიკო აჭალელი; 4. ნიკა გიტიშვილი და სამსონ გელბახიძე; 5. ალექსი ნახალოვკელი და კიმოთე გაგნიძე; 6. თედო კაკაშვილი და ვანო კერვალიძე და თედა კაკაშვილი მომავალ კვირისათვის ითხოვს ბერუა როსტიაშვილს“.

**4 ივლისი, № 48**

„განცხადება. კვირას, 25 ივლისს, დიდუბეში ეკლესიის მახლობლად, მარცხნივ მხარეს. გაიმართება კავკასიური ჭიდაობა მამადავითის ეკლესიის სკოლის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება 9 საინტერესო ჭიდაობა კულა გლდანელის თანდასწრებით.

ამ კვირია იჭიდავებს კახეთის გამოჩენილი სახელოვანი მოჭიდავე — 1. ნორიელი ჭონდარა ლონიაშვილი და გიორგი ჯიბგირი; 2. გიორგი დოთიაშვილი (გორელი) და მიხეილა ჩაგროვი; 3. შაშუა ვერელი და რაჟდენა გაბათაშვილი (ლილოელი), 4. პატარა კახელი და ილიკო გეცაძე; 5. ბერუა როსტიაშვილი და შერობაშვილი (კუნძულა). 6. ნიკა ტიღიშვილი და ალექსანდრე ისაკაძე; 7. ვასილ კოშკელაშვილი (ნავთლუღელი) და ისაკა მთიელი; 8. თედო კაკაშვილი და კუტუა ნავთლუღელი; 9. არტემ ყირიმელი (გლდანელის ძმის შვილი) და გიორგა ხალიანი (კახელი)“.

**25 ივლისი, № 66**

„განცხადება. კვირას, 1 აგვისტოს დიდუბეში გაიმართება ჭიდაობა წმინდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ.

ამ კვირია იჭიდავებს კავკასიის პირველი გამოჩენილი ფალავანი კულა გლდანელი და ყველასაგან ცნობილი ევროპის გამოჩენილი მოჭიდავე სილვესტრ პეტერსონი; 2. გიორგი დოთიაშვილი გორელი და მეტივე დათიკო ნატვრაშვილი; 3. თედო კაკაშვილი და დათა ვანეზასშვილი; 4. ვასო კოშკელაშვილი და ბაგრატ სხირტლაძე; 5. თედო ნასელჩიკი და ილიკო გეცაძე“.

**31 ივლისი, № 71.**

„სპორტი. კავკასიური ჭიდაობა. კვირას, 8 აგვისტოს დიდუბეში რამდენიმე ფალავანმა იჭიდავა. კულა გლდანელმა 3 წუთის განმავლობაში მარცხენა სარმით წააქცია გამოჩენილი რუსი მოჭიდავე ყაზახი რაზინი (გლდანელმა გასულ კვირას აგრეთვე წააქცია პეტერსონი, ვარშავის ჩემპიონი). პეტერსონმა მეორედ გამოიწვია კულა გლდანელი და 100 მანეთსა სდებს, თუ კიდევ დამარცხდება. კარგად იჭიდავეს თედომ (წააქცია გეცაძე) და შაშუა ვერელმა (წააქცია გიორგი დოთიაშვილი). კაკაშვილმა წააქცია კრუა. საჭიდაო ფარდული სავსე იყო ხალხით. უადგილობის გამო გარეთაც დიდძალი ხალხი იდგა.“

**პუბლიკაცია მოამზადა**
**სულიკო ნუცუბიძემ.**



# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**განვლილ** შაბათ-კვირას გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი, 26 აგვისტო.**

**„დინამო“ (თბილისი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:1 (1:0)**

**„დინამო“:** გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჩიქოვანი, დარახველია (თედეევი, 46), ჯიშკარიანი, ცვეიბა, ქეცბაია (ხვანაძე, 71), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

**„პამირი“:** მანანიკოვი, ფუზაილოვი, სარტაკოვი, ვიტიუტნევი, რახიმოვი, ლაგუტენკო, რაფიკოვი (მანახიანი, 71), ბატურენკო, აზიმოვი, ზაბიროვი, მუჰამადიევი.

**მსაჯი.** ა. სპირინი (მოსკოვი).

**გააფრთხილეს:** მანანიკოვი, კაჭარავა.

თვით ის ფაქტი, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „პამირმა“ ჩემპიონატის ორ შეხვედრაში 3 ქულა „აართვა“ თბილისის „დინამოს“, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. და თუ დუშანბეში შემდგარი მატჩის შემდეგ დინამოელებს გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ მსაჯის მიმართ, ამჯერად მოსკოველმა ალექსეი სპირინმა საკმაოდ კვალიფიციურად ჩაატარა მატჩი. გათამაშების ცხრილში შექმნილი მდგომარეობის შესატყვისად „დინამოს“ ეს თამაში აუცილებლად უნდა მოეგო და რევანში აეღო პირველ წრეში განცდილი დამარცხებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მეტის თქმაც შეიძლება: პირველი სახიფათო მომენტი თამაშის პირველივე წუთზე შეიქმნა თბილისელთა კართან და სტუმართა ერთ-ერთ თავდამსხმელს ხელზე რომ არ მოხვედროდა ბურთი, ვინ იცის როგორ წარიმართებოდა მატჩის შემდგომი მსვლელობა.

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ განვლილ მატჩში თითებზე ჩამოსათვლელად იყო დასამახსოვრებელი მომენტები. ძირითადად ეს იყო საკმაოდ უფერული, უინტერესო თამაში, რომელმაც ვერავითარი სიამოვნება ვერ მოუტანა სტადიონზე მოსულ ისედაც მცირერიცხოვან მაყურებელს.

თამაშის მე-6 წუთზე გოგიჩაიშვილის სწრაფ გარღვევას ბურთის კარის გასწვრივ ჩაწოდება მოჰყვა და კაჭარავამ კარგად გამოიყენა ეს შესაძლებლობა —1:0. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „დინამო“ იოლად შეძლებდა გამარჯვებას, მით უმეტეს, რომ სამიოდე წუთის შემდეგ იმავე კაჭარავამ თავით ძელს მოახვედრა ბურთი. არც პირველ ტაიმში და არც მთელ მატჩში საყურადღებო მეტი არაფერი მომხდარა, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თამაშის მიწურულს, 85-ე წუთზე, როდესაც უკვე ყველა დარწმუნებული იყო „დინამოს“ გამარჯვებაში, ჩიქოვანის შეცდომა კარგად გამოიყენა ზაბიროვმა, იგი პირისპირ გავიდა გაბელიასთან, თბილისელთა მეკარემ პირველი დარტყმა მოიგერია, მაგრამ ზაბიროვმა მოახერხა ხელმეორედ დარტყმა და ანგარიშიც გათანაბრდა — 1:1.

თბილისის „დინამოს“ ეს მატჩი, ჩვენი აზრით, მთელი კოლექტივისთვის საგანგებო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. როდის, თუ არა ახლა, როცა ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, როცა თბილისის „დინამო“ ბოლო წლების ტრადიციის შესაბამისად კვლავ და კვლავ უმაღლესი ლიგის დატოვების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია, როცა პირველ წრეში „პამირთან“ მის მინდორზე განცდილი მარცხის შემდეგ საჭირო იყო ძალების მაქსიმალური დაძაბვით თამაში, საჭირო იყო თავგამოდებული, შეუპოვარი ბრძოლა ქულათა ერთობ მწირი მარაგის შესავსებად, დინამოელებმა აშკარად უპასუხისმგებლოდ, უმწეოდ და უთავბოლოდ ითამაშეს, ვერც ერთმა ფეხბურთელმა ვერაფრით ვერ გამოიჩინა თავი, მთელი გუნდი უხალისოდ, მოუნდომებლად, აშკარად არაკვალიფიციურად მოქმედებდა, მან მეტოქეს ვერ აჩვენა თავისი საბრძოლო განწყობა და ქულა ჩააბარა მას, ეს კი ის ქულაა, რომელიც, შესაძლოა, ჩემპიონატის ფინიშზე ოქროს ფასად დაგვიჯდეს.

ასე თამაში არ შეიძლება, მით უმეტეს საკუთარ მინდორზე, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე! თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გულგრილი განწყობა და ინერტულობა საყოველთაო გულისწყრომას იწვევს და თუ მდგომარეობა უახლოეს ხანში არ შეიცვალა, თუ ჩვენმა ფეხბურთელებმა მთელი შესაძლებლობით არ იბრძოლეს შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად, შესაძლოა გუნდი საგაისოდ დაბალი კატეგორიის ლიგაში ვიხილოთ. ეს კი ყოვლად დაუშვებელი ამბავია თბილისის „დინამოსათვის!“

ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სწორედ ახლა, როცა საკავშირო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, სრული ძალით ათამაშდნენ ის გუნდები, რომლებიც თბილისის „დინამოს“ მსგავსად უმაღლესი ლიგის დატოვების კანდიდატები არიან: განვლილ ტურში მოსკოვის „ლოკომოტივმა“, დონეცკის „შახტიორმა“ და ერევნის „არარატმა“ გამარჯვებები მოიპოვეს, ხოლო ლენინგრადის „ზენიტმა“ და დუშანბეს „პამირმა“ თითო ქულა აიღეს.

● ● ●

აღნიშნული ტურის შეხვედრა ერევნის „არარატსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის დამთავრდა ერევნელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1



### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 22 | 14 | 7 | 1 | 42–14 | 35 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 23 | 12 | 5 | 6 | 31–22 | 29 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 22 | 12 | 4 | 6 | 30-22 | 28 |
| „დინამო“ (კიევი) | 22 | 9 | 9 | 4 | 25–15 | 27 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 22 | 8 | 9 | 5 | 22–15 | 25 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 22 | 8 | 8 | 6 | 23–20 | 24 |
| „დინამო“ (მინსკი) | 22 | 9 | 5 | 8 | 27-23 | 23 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 22 | 8 | 7 | 7 | 26–27 | 23 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 22 | 7 | 8 | 7 | 26–21 | 22 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 22 | 6 | 7 | 9 | 17–27 | 19 |
| „არარატი“ (ერევანი) | 22 | 7 | 4 | 11 | 21-31 | 18 |
| „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 21 | 6 | 6 | 9 | 18–23 | 18 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 22 | 7 | 3 | 12 | 16–23 | 17 |
| „დინამო“ (თბილისი) | 21 | 4 | 9 | 8 | 17–22 | 17 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 23 | 3 | 8 | 12 | 15-37 | 14 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 22 | 4 | 5 | 13 | 12–26 | 13 |

## გულშემატკივართა ფოსტიდან

### ვინ, თუ არა ისევ ჩვენ?

**თბილისის** „დინამო“ მრავალი თაობის საყვარელი გუნდია და მას გაჭირვების ჟამს ვინ უნდა ამოუდგეს მხარში თუ არა ისევ ჩვენ? გაკრიტიკების საბაბი ყველას გვაქვს, მაგრამ ამით საქმეს არ ეშველება. პირადად მე მგონია (ეს მარტო ჩემი აზრი არ არის), „დინამოს“ კლუბის და გუნდის ხელმძღვანელობას შესწევს უნარი სასიკეთოდ შეცვალოს მდგომარეობა, ოღონდ ერთი სურვილი მაქვს, ეჭვები და მითქმა-მოთქმა, რომელიც ხალხშია, უნდა გაიფანტოს, მოვითხოვ, კლუბის და გუნდის ხელმძღვანელობა შეხვდეს გულშემატკივრებს და ჟურნალისტებს ან ორივეს ერთად. დუმილი ძაბავს სიტუაციას. კიდევ ვიმეორებ, ჩვენს გუნდს ჩვენვე უნდა ამოვუდგეთ მხარში, ოღონდ გაგვაგებინეთ რა ხდება, რა პრობლემებია კოლექტივში, იქნებ ჩვენც დაგეხმაროთ. არ ვკარგავთ რწმენას, რომ „დინამო“ ამჯერადაც დააღწევს თავს კრიზისს (თუმცა, მეუხერხულება ამის თქმა, ეს უკვე მერამდენედ?).

გადავხედოთ სატურნირო ცხრილს და ვნახოთ ვისთან დაგვრჩა მატჩებიდა რა ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი მეტოქეებს. ღრმა ანალიზი არაა საჭირო, რომ დავასკვნათ! ლიდერთა ჯგუფიდან ზოგი საპრიზო ადგილისთვის იბრძვის, ზოგი ხუთეულში მოხვედრისთვის, რაც მათ ევროპაში უხსნის გზას. აუტსაიდერებში კი საქმე ისედაც გასაგებია — ეს გუნდები ყველაფერს ილონებენ თავის გადასარჩენად. ჩვენც იმ დღეში ვართ, ასე, რომ, თითოეული ქულისთვის, როგორც ლიდერებთან, ისე აუტსაიდერებთან, ძალზე დაძაბული ბრძოლა მოგვიწევს.

**გ. კერძევაძე.**

თბილისი. ინჟინერი.

### ძვირფასო რედაქციავ!

**წინასწარ** ბოდიშს მოგიხდით ასეთი მკვახე წერილის დაწერისთვის, მაგრამ იმდენად ამაღელვა თბილისის „დინამოს“ თამაშმა „პამირთან“, რომ სხვანაირად ვერც მოვიქცეოდი. 52 წლის კაცი ვარ და თბილისის „დინამოს“ თითქმის ყველა თაობის ფეხბურთი მახსოვს. მახსოვს თუ როგორ მივილტვოდით დიდი თუ პატარა „დინამოს“ სტადიონისკენ ქართული, ლამაზი და ვაჟკაცური ფეხბურთის სანახავად. მახსოვს როგორ გადავძვრებოდით ხოლმე მაღალ და მუხისწვერიან რკინის ღობეზე უბილეთოები, როგორი გულის ფანცქალით ვყიდულობდით ცირკის მიდამოებში ათმაგ ფასში სტადიონზე შესასვლელ, ფეხზე დასადგომ ბილეთებს. დღეს კი ამხელა სტადიონზე მაყურებლის მეათედიც არ დადის იმის გამო, რომ დღევანდელი „დინამო“ ასეთ უნიათო, უჯიგრო და უღიმღამო თამაშს აჩვენებს.

მოთმინებასაც ხომ აქვს თავისი საზღვარი. 6–7 წელიწადია გვესმის, ჩვენი „დინამო“ პერსპექტიული გუნდიაო, როდემდე უნდა იყოს პერსპექტიული, ანდა რა პერსპექტიული უნდა უძახო 22–23 წლის გაზულუქებულ ვაჟბატონებს? ხალხი მაგათ ასაკში უკვე ვარსკვლავები არიან, ეგენი კი ჯერ ფეხბურთის აკვნიდან ვერ გადმოსულან. საბჭოთა კავშირში ყველამ ისწავლა ფეხბურთის თამაში, ჩვენმა ფეხბურთელებმა კი პირიქით, დაივიწყეს. ტაჯიკეთის ფეხბურთი — ისეთი სხვაობაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. რაოდენ სავალალოა, როცა ასეთ გუნდთან ჩვენ ვკარგავთ 3 ქულას. ეს ხომ ქართული ფეხბურთის ძველი თაობის შეურაცხყოფაა?! მთელი ჩვენი ერის აბუჩად აგდებაა, ერისა, რომელიც ასე იმედის თვალით შეჰყურებს თბილისის „დინამოს“, ამ დროს კი ეს ვაჟბატონები არაფრად დაგიდევენ იმ მხვნელ-მთესველის, მევენახის, მეჩაიეს თუ ინტელიგენტის გუნება-განწყობილებას, თავიანთი თამაშით რომ წამლავენ.

ასეთ დროს კი გაისმის ზოგიერთი ვაი-გულშემატკივრის განცხადება საკავშირო ჩემპიონატის უგულვებელყოფაზე, რახან იქ ვერ მივაღწიეთ ამ ბოლო დროს რაიმე წარმატებებს, ახლა ეროვნულ ჩემპიონატში მცხეთის „არმაზს“, ვანის „სულორს“, ოჩამჩირის „ამირანს“ და სხვებს სურთ გაეჯიბრონ და ამ გზით ჩამოკიდონ თბილისის „დინამოს“ ოქროს მედლები. აი, სადამდე მივედით.

**ჯემალ ქაჯაია,**

ქართული სპორტის გულშემატკივარი

თბილისი.

დაწვრილებით...

# ის, რაც შეხვედრაზე ითქვა

**თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდის საქმე ბოლო წლებში „დალხინებული“ არ ყოფილა, მაგრამ უკიდურესობამდე მისული გუნდი, რაღაცნაირად მაინც ახერხებდა ჩიხიდან თავის დაღწევას. ახლაც უმაღლესი ლიგის დატოვების რეალური საშიშროების წინაშეა გუნდი. ეს ყველას გვაღელვებს და გვაფორიაქებს, მათ შორის იმათაც, ვისაც შეუძლია თავჩენილი პრობლემის მოგვარებაში მხარში ამოუდგეს დინამოელებს.**

**ამ** მიზნით შეიკრიბნენ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, „დინამოს“ საფეხბურთო კლუბისა და გუნდის ხელმძღვანელები. მასპინძლებს მიეცათ საშუალება გამოეთქვათ თავიანთი გულისტკივილი, ელაპარაკათ იმ მიზეზებზე, რაც კლუბს და გუნდს ხელს უშლის მუშაობაში.

ქვემოთ რედაქციის კომენტარების გარეშე გთავაზობთ იმ საკითხებს, რაც ამ შეხვედრაზე დღის წესრიგში წამოსწია კლუბის პრეზიდენტმა ო. წერეთელმა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დ. ყიფიანმა. აი მათი ნაამბობის ძირითადი შინაარსი:

ცნობილი გახდა, რომ გაისად საკავშირო პირველობაზე უქმდება სათადარიგო შემადგენლობები. თუ გუნდს ახლა 34-40 ფეხბურთელი ჰყავს, შემდგომში მხოლოდ 20 ფეხბურთელი უნდა დასჭირდეს. რა გზას უნდა დავადგეთ, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში მოთამაშე პერსპექტიული ფეხბურთელები არ გაიფანტონ რესპუბლიკაში? ამ საქმეს დღესვე უნდა მიხედვა. დღეიდანვე უნდა დაიწყოს გზების ძიება, რომ თბილისს ჰყავდეს ერთი ან ორი ძლიერი გუნდი, რომელიც „დინამოს“ საბაზო კოლექტივი გახდება.

თბილისის „დინამო“ თვითდაფინანსებაზეა გადასული. გუნდი ეძებს თავის შენახვის გზებს, დღის წესრიგში დგება სასტუმროს აშენების საკითხი, სადაც დინამოელები თავიანთ მეტოქეებს თუ სტუმრად ჩამოსულ სპორტსმენებს მიიღებენ. „მე მინდა, თბილისის „დინამო“ მომავალში ისეთი გუნდი იყოს, რომ მხოლოდ თავისი თავის იმედი ჰქონდეს“ — აღნიშნა მთავარმა მწვრთნელმა.

საფიქრებელია, აგრეთვე, თბილისის „დინამოს“ პროფესიონალ ფეხბურთელთა გუნდის ბეჭდვითი ორგანოს შექმნა. სხვისი არ ვიცით, ჩვენ კი ნამდვილად შურის გრძნობა დაგვეუფლა „იფკ ჰოლსმუნდის“, შვეციის ფეხბურთელთა კლუბების II დივიზიონის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდის გაზეთი რომ ვიხილეთ. ალბათ, აქაც საჭიროა მხარში ამოდგომა. საკუთარი გაზეთი აუცილებელია პროფესიონალთა კლუბისთვის. გაზეთი იქნება გუნდის და გულშემატკივრის პირდაპირი დამაკავშირებელი.

ითქვა, რომ ძნელია გულშემატკივარი შეიდი-რვა წლის განმავლობაში არწმუნო, „დინამოში“ თაობათა ცვლა მიმდინარეობს, ქართული ფეხბურთი კრიზისშია და მალე დააღწევს კრიზისს თავს, სიახლე გუნდში ნამდვილად არის. ამისათვის საჭიროა ამ 18-19 წლის ბიჭებში მამაკაცები დავინახოთ და ის სიყვარული, „დინამოს“ მიმართ რომ გვაქვს, თითოეულ მათგანს გავუნაწილოთ.

გუნდში ურთიერთობა მეგობრობასა და ურთიერთპატივისცემაზეა აგებული. თუმცა ეს არ უშლით მწვრთნელებს ხელს გამოიჩინონ სიმკაცრე ვარჯიშის თუ შეკრებების დროს. თუ ვინმე დაკვირვებია „დინამოს“ თამაშს, მასში აშკარად შეიმჩნევა ტაქტიკური სიახლენი, გუნდი ახლა სამი მცველით და სამი თავდამსხმელით თამაშობს, თავისი ადგილი იპოვა ახრიკ ცვეიბამ, მეტნაკლებად ამპლუა შეიცვალა გია ჯიშკარიანმა. 9 აპრილამდე „დინამოს“ არც ერთი წაგება არ ჰქონია. თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ დინამოელთა ფსიქიკაზეც უარყოფითად იმოქმედა.

„დინამო“ ცდილობს არ ჩამორჩეს რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს, გუნდმა ჩაატარა ორი საქველმოქმედო მატჩი, 30 ოქტომბერს კი მესამე მატჩის გამართვას აპირებს, რომლის შემოსავალი დაღუპულ დინამოელ ფეხბურთელთა ოჯახებს გადაეცემა. ასეთი ოჯახები კი, სამწუხაროდ, ბევრია. ალბათ, საჭიროა ამ მატჩს წინ უსწრებდეს შესაბამისი რეკლამა. იმ დღეს, 30 ოქტომბერს მოედანზე ჩვენი სათაყვანებელი 1981 წლის „დინამოს“ შემადგენლობა გამოვა.

სტუმართა მხრიდან ითქვა, რომ „დინამო“ პროფესიონალების კლუბია და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ არაპროფესიონალები არ ჩაერიონ მათ საქმიანობაში. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სჯერა თქვენი და გვერწმუნეთ, ყველანაირად დაგეხმარებით, ოღონდ „დინამომ“ თავისი საქმე აკეთოს ისე კეთილსინდისიერად, როგორც მისი წინა თაობები აკეთებდნენ ამას.

შეხვედრის დროს გამართულ თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მგელაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. მახარაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური მუშაობის განყოფილების გამგე ვ. ლორთქიფანიძე.

**ინგა ჩახვაშვილი.**

### სკანდალი რკინიგზაზე

**სავალალო** სანახავი იყო ჰანოვერ — დასავლეთ ბერლინის სამგზავრო მატარებელი, როცა იგი 26 აგვისტოს ჩამოდგა სარკინიგზო სადგურზე. მაყურებლებმა, რომლებიც ჰანოვერში დაესწრნენ II საფეხბურთო ლიგის მატჩს ადგილობრივ გუნდსა და „ჰერტას“ შორის (გამარჯვა „ჰერტამ“ — 2:0), ეს ამბავი იმით აღნიშნეს, რომ დალეწეს ვაგონ-რესტორანი, დაარბიეს სხვა ვაგონებიც. დასავლეთ გერმანიის პოლიცია იუწყება, რომ ხულიგანი გულშემატკივრები უმოწყალოდ გაუსწორდნენ მგზავრებსაც და გამცილებლებსაც. მატარებლის მთელი შემადგენლობა დალეწილი და დამსხვრეულია, დაპატიმრებულია 38 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მიდით, ბიჭებო!" – გაისმოდა ბაიამონში

**საკდესმა** ამჯერადაც „გვიმუხთლა" და შორეულ პუერტო-რიკოს ქალაქ ბაიამონიდან, სადაც მსოფლიოს იუნიორი მოკრივეები უძლიერესის სახელს ეცილებოდნენ ერთმანეთს, ასპარეზობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია ვერ მოგვაწოდა. ტელეტაიპმა მხოლოდ ზემძიმე წონის თბილისელი სპორტსმენის ა. ბურდიანცის გამარჯვებისა და მისი მეგობრის, პირველი მძიმე წონის მოკრივის დ. ავდალიანის ვერცხლის მედლის ამბავი გვამცნო. მათ გარდა კი საქართველოს წარგზავნილთა აქტივშია კიდევ ერთი მედალი — ბრინჯაოსი, რომელიც თბილისელ კახა ბარავის ერგო მეორე უმჩატეს წონაში (51 კგ) მესამე ადგილის მოპოვებისათვის.

ჩემპიონი და მესამე პრიზიორი რედაქციაში გვეწვივნენ. მათ გვითხრეს, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში იყო ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი, მესტიელი მწვრთნელის ა. ჯაფარიძის აღზრდილი ზ. ფალიანი (71 კგ), რომელმაც შესანიშნავად დაიწყო ტურნირი. პირველ ბრძოლაში სამხრეთკორეელთან მას გამარჯვება მიაკუთვნეს. ზურაბს არც მეორე შეხვედრაში გასჭირვებია, რომელსაც იგი დომინიკანელ მოკრივეს უგებდა ორი რაუნდის განმავლობაში, მაგრამ მერე მეტოქემ წარბი გაუხეთქა და შეხვედრის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

— სწორედ ამ ორთაბრძოლის დროს მოხდა საინტერესო რამ, — გვითხრეს ა. ბურდიანცმა და კ. ბარავიმ, — როცა დარბაზში გავიგონეთ გულშემატკივრების გამამხნევებელი შეძახილები ქართულად. ბაიამონიდან ორ ნაბიჯზეა სან-ხუანი, სადაც მოჭადრაკე გოგონათა მსგავსი პირველობა მიმდინარეობდა. ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს რომ გაუგია, თბილისელები გამოდიანო, თავისი აღსაზრდელი თეა ლანჩავა და სხვა ჩვენი გოგონები წამოუყვანია და გულმხურვალედ გვქომაგობდა. ვფიქრობთ, არ გაგვიწბილებია ჩვენი ქომაგები, რადგან მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა მოკრივეთა მიერ მოპოვებული 8 მედლიდან ყველა სინჯის 3 მედალი თბილისში ჩამოვიტანეთ.

ამ ოთხეულიდან ყველაზე უმცროსი კ. ბარავი გახლავთ, რომელსაც იური შეპეტკოვი ავარჯიშებს. კახამ უაღრესად მძაფრ ბრძოლებში ერთნაირი ანგარიშით — 3:2 — სძლია ჯერ ამერიკელ, შემდეგ კი კოლუმბიელ მოკრივეებს, ნახევარფინალში კი მომავალ ჩემპიონთან, ფრანგ ნ. მონშისთან დათმო შეხვედრა. ბაიამონის შეჯიბრება სრული ტრიუმფით განვლო გიგანტმა არმენ ბურდიანცმა (მწვრთნელი დავით შიუკაშვილი), რომელმაც სამივე ბრძოლა, მათ შორის ფინალურიც (კუბელ ვალდო დე ლა კრუსთან) აშკარა უპირატესობით მოიგო და ოქროს მედალს დაეუფლა. აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა პირველ ორ ბრძოლაში დიმიტრი ავდალიანმაც (მწვრთნელები ალექსანდრე და ვალერი ბორტნიკოვები) და კანადელ კ. ჯონსონთან წააგო ფინალური ბრძოლა.

•••



**სურათზე:** მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი კახა ბარავი (მარცხნივ) და მსოფლიო ჩემპიონი არმენ ბურდიანცი.

ა. ვაჩიანის ფოტო.

## რაგბის მერიდიანები

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

**კვირას** თბილისში უნდა გამართულიყო „ელმავლისა" და მოსკოვის „ფილის" კალენდარული მატჩი. მაგრამ მოსკოველებმა თვითმფრინავის ბილეთები ვერ იშოვნეს და ვერ ჩამოფრინდნენ...

ახლა ამა წლის 14 თებერვლის „ლელოში" გამოთქმული წინასწარმეტყველება, რომ უხეიროდ შედგენილი კალენდრის გამო ადრე თუ გვიან ჩემპიონატი ჩაშლის პირას მივიდოდა. ჯერ კიდევ პირველ ეტაპზე პირველ ლიგაში მოასპარეზე ნოვოკუზნეცკის სმი უბილეთობის გამო სამჯერ ვერ გაემგზავრა თამაშზე. გარდა ამისა, ალბათ, ყველას გეხსომებათ „ელმავლისა" და ალმა-ათის ასკ-ის მატჩთან დაკავშირებული კონფლიქტი, როცა ამავე მიზეზით თბილისელები ვერ ჩაფრინდნენ ყაზახეთის დედაქალაქში. მაშინ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა უმაგალითო და უსამართლო გადაწყვეტილება მიიღეს: თბილისელთა ახსნა-განმარტებას ყური არ ათხოვეს, მათ არა მარტო წაგება ჩაუთვალეს, არამედ ერთი ქულითაც დააჯარიმეს.

და აი, დაიწყო მეორე ეტაპი და გამოუცხადებლობაც მოხშირდა. უბილეთობის გამო იგივე „ფილი" წინა ტურში კრასნოიარსკში ვერ ჩავიდა. წინასწარი მონაცემებით, ვერც კრასნოიარსკის გუნდი ჩამოფრინდება თბილისს და ალბათ 30 აგვისტოსთვის დანიშნული „ელმავალი" — ეტს-ის მატჩიც ჩაიშლება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩაშლილ შეხვედრებში წაგება არავის ჩაეთვლება (?!), თამაშებს გამართვის ახალ ვადებს კი მალე შევიტყობთ.

### ონსა...

**ონში** ახლახან გაიმართა მორაგბეთა საჩვენებელი თამაში. ერთმანეთს შეხვდნენ რაჭაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდები. მატჩი, რომელსაც, ავდრის მიუხედავად, მრავლად დაესწრნენ მაყურებლები, გაიმარჯვეს პოლიტექნიკოსებმა — 44:24 (16:18). ონელები ერთობ კმაყოფილი დარჩნენ სანახაობით.

### და სამხრეთ აფრიკაში

**წელს** სამხრეთ აფრიკის რაგბის საბჭოს, რომელიც ამჟამად თეთრკანიან, მულატ და ზანგ მორაგბეებს აერთიანებს, დაარსებიდან ასი წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ტურნეს გასამართავად ეწვია მსოფლიოს რაგბის „ვარსკვლავთა" ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში 10 უელსელი, 6 ავსტრალიელი, 5 ინგლისელი, 8 ფრანგი, თითო ირლანდიელი და შოტლანდიელი მორაგბეა. ამ გუნდის მენეჯერია 70-იანი წლების ირლანდიის ნაკრებისა და „ბრიტანელი ლომების" კაპიტანი ვილი ჯონ მაქბრაიდი, მწვრთნელი — ცნობილი ავსტრალიელი სპეციალისტი ბობ თემფლთონი.

სტუმრებმა უკვე ორი თამაში გამართეს: დურბანში მოუგეს ნატალის პროვინციის ნაკრებს — 33:20 (15:3), პორტ-ელიზაბეთში კი წააგეს სამხრეთაფრიკული რაგბის „მამების" მიერ საგანგებოდ ამ მატჩისთვის შედგენილ გუნდთან — 13:36 (10:12). ტურნეს პროგრამაშია კიდევ სამი თამაში, მათ შორის იოჰანესბურგის 104-ათასიან „ელის ფარქზეც" — მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებ „სფრინგბოქსთან" („ქურციკებთან").

## „სპორტლოტო"

**კვირას**, 27 აგვისტოს, მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" 1989 წლის მორიგი, 35-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 2 (ბიატლონი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი), 32 (ფიგურული ციგურაობა), 39 (ბადმინტონი), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 10 (წყალბურთი), 12 (ტანვარჯიში), 16 (ცხენოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 31 (ფარიკაობა).

## ადრიან მურჰაუზი გვირჩევს

მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულმა, 25 წლის ინგლისელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ადრიან მურჰაუზმა განაცხადა, რომ სეულის თამაშებში წარმატების შემდეგ ექვსთვიანმა დასვენებამ მას დიდი სამსახური გაუწია.

როგორც ცნობილია, მურჰაუზმა ავტოკატასტროფის შედეგად ხელი დაიზიანა. ცხადია, წვრთნას ამის გამო საკმაოდ დიდი ხნით შეეშვა. იძულებითი „შვებულება" მოცურავემ საინტერესოდ და ეფექტურად გაატარა: ერთ-ერთ რადიოსადგურთან კონტრაქტი დადო და პატარა მსმენელებს ზღაპრებს უკითხავდა.

ინგლისელი ჟურნალისტები ერთხმად აცხადებენ, რომ მურჰაუზი მშვიდი და დაკვირვებული ინტელიგენტია და გონებრივი გართობა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. ფსიქოლოგიურმა სიმშვიდემ საშუალება მომცა მთლიანად აღმედგინა ძალები, თქვა მოცურავემ და თანაც დასძინა, პირველ ხანებში სპორტის გახსენებაც არ მინდოდა. მერე კი მომენატრა ვარჯიში და როცა ექიმებმა ნება დამრთეს, ახალი ენერგიითა და მონდომებით შევუდექი წვრთნას. ყველა მოქმედ სპორტსმენს ვურჩევ დროდადრო დაისვენოს, რაც, პირველ ყოვლისა, მის საერთო ფიზიკურ მდგომარეობას დაეტყობა.

## ახალი საფეხბურთო გამოცემები

**ჩვენი** ქვეყნის სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" საკვირაო დამატებას „ფუტბოლ-ხოკეის", რომელიც აი უკვე 30-ე წელია გამოდის. აქვე შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად იგი „ფუტბოლის" სახელწოდებით გამოდიოდა და, როგორც შევიტყვეთ, კვლავ დგას საკითხი ამ ყოველკვირეულის წმინდა საფეხბურთო ორგანოდ გადაკეთებაზე.

ასეა თუ ისე, „ფუტბოლ-ხოკეი" ჯერჯერობით ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გამოცემაა და რაოდენ სასიხარულოა, რომ მას მხარში კიდევ ორი ახალი გამოცემა ამოუდგა. ერთი მათგანია საჟურნალო ტიპის „ოდინადცატ", მეორე კი „ფუტბოლ-ხოკეის" მსგავსი გაზეთი „მოსკოვსკი ფუტბოლი".

„ოდინადცატს" (უკვე გამოვიდა მისი ორი ნომერი) დნეპროპეტროვსკის საფეხბურთო კლუბი „დნეპრი" უშვებს. ჟურნალში დასტამბულია მრავალი საგულისხმო მასალა — ინტერვიუ „დნეპრის" მთავარ მწვრთნელთან ევგენი კუჩერევსკისთან, ცნობილ ფრანგ ფეხბურთელ და ეროვნული ნაკრების ახალ უფროს მწვრთნელთან მიშელ პლატინისთან და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს" კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიქტორ ლოსევის... მეუღლე ლარისასთან.

ინტერესით იკითხება სერგეი მიკულიკის მასალაც „სპარტაკი" უბესკოვოდ — „სპარტაკი" რომანცევთან ერთად". აქვეა მოთავსებული რუბრიკა „ოდინადცატის" ვარსკვლავთა გალერეა", რომელშიც გაეცნობით დასავლეთ გერმანიის ნაკრებისა და იტალიის „რომას" თავდამსხმელს რუდი ფელერს — „ფორვარდს ზღაპრიდან".

ინტერესმოკლებული არაა წერილი „ბატისტონის თავგადასავალი", აგრეთვე გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის" ინფორმაცია შუმახერის წიგნზე „სასტვენი".

გამოცემა „ოდინადცატი" 500 ათასი ტირაჟით გამოდის (ფასი 1 მანეთი), მისი რედაქტორია ჟურნალისტი ა. ლვოვი.




„მოსკოვსკი ფუტბოლი", რომელსაც გამოსცემენ მოსკოვის სპორტკომიტეტი და ქალაქის ფეხბურთის ფედერაცია, გაერთიანება „მოსსპორტობესპეჩენიე" და კოოპერატივი „სპორტგრაფიკა", 60 ათასი ტირაჟით (ფასი 50 კაპიკი) წარსდგა ფეხბურთის მოყვარულთა წინაშე. რუბრიკებში — „სკოლები", „კლუბები", „ტურნირები", „მატჩები", „მოვლენები" მოთავსებულია ბევრი საინტერესო მასალა, აქვე შეხვდებით გემოვნებით შერჩეულ ფოტოსურათებს „საფეხბურთო ვერნისაჟისთვის", იუმორის კუთხეს, კროსვორდს...




უკვე გამოვიდა გაზეთის პირველი ნომერი. მისმა ერთ-ერთმა ავტორმა, ცნობილმა მოსკოველმა ფოტოჟურნალისტმა სერგეი კოლგანოვმა ამას წინათ მეორე გამოცემის მაკეტი გაგვაცნო — მას ამ დღეებში სტამბაში ჩაუშვებენ. ისე რომ, გულშემატკივრებს ახალი საინტერესო შეხვედრა ელით საყვარელ ფეხბურთელებთან.

იქნებ დროა, საქართველოშიც გამოვუშვათ ანალოგიური გამოცემა სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობაში?!.

**ოთარ ნოზაძე.**

### დაზუსტდა...

**IV საკავშირო** ახალგაზრდული სპორტული თამაშების პრიზიორთა სიაში დაზუსტდა, რომ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირში II ადგილზე გასული გოგი კოღუაშვილი (90 კგ) დინამოელია, მოკრივეთა შეჯიბრების ბრინჯაოს პრიზიორი გევორქ კაპსუზიანი (60 კგ) პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების (სოხუმი, თბილისი-ასკ) წარმომადგენელი, თამაშების ერთ-ერთი ჩემპიონი მშვილდოსნობაში (გუნდური) ლანა ვერულავა კი ბათუმიდანაა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ღირსებას იცავს.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 31 აგვისტოს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ბავშვთა-მოზარდთა ექსპერიმენტალური სასპორტო სკოლის დირექცია ატყობინებს სკოლის მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რომ მეცადინეობები განახლდება მ/წლის 1 სექტემბრიდან.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49-ბ, მძლეოსნობის მანეჟი.

**თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის „შევარდენის" სტადიონი**

**1 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**II ლიგა**

**„შევარდენი"** (თბილისი) — **„ლოკომოტივი"** (მინ. წყლები)

დასაწყისი 18 საათზე.

საქართველოს სპორტსახკომი, ბატუტზე ხტომის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დოსაafის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ბატუტზე ხტომის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე

**გაიოზ ვლადიმერის ძე ნანეიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 00388